



# Unicus

№ 59

1921 წ.  
თებერლის 6



ადრე უფრო

მეფოვე რას შემომესიეთ! მეფოვე არ გინახავთ, თუ რა ამბავია?  
 ეშმაკი. მეფოვე, ბარემ, ბევრი გვინახავს, მაგრამ ისეთი მეფოვე, რომელიც ქუჩას ჰგვიდეს, დიდიხანია, არსად შეგვხვებდრია. ეხლა ჩვენ შენს სურათს დაეხატავთ, ზედ წარწერას გაუკეთებთ და მთელ დუნიას დაეუბნავით. დეე; გაიგონ, რომ ასეთი საკვირველი მეფოვე კიდეც დარჩენილა ერთი თბილისში. ყველაზე უწინ კი შენს სურათს ქალაქის მოურავს მივართმევთ.



### მ კ ი ა ს ჯ ე ლ ე ბ ს

„ეშმაკის მათრახის“ დიპლომატიურ წარმომადგენელთა თავგანწირული ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგინდა:

ჩვენი დიპლომატი მხატვრები—შალიკო ქიქოძე, ლალო გუდიაშვილი და დათიკო კაკაბაძე ისე შეუჩნდნენ ანტანტის წარმომადგენლებს, იმდენი უჩიჩინეს მათ, ისე ვაუჭირეს საქმე, რომ ბოლოს აიძულეს საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულათ აღეარებიათ.

ამ თავდადებულ სახელმწიფო მოღვაწეთა წყალობით დღეს ჩვენი ქვეყანა სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ჩვენ კარგათ ვიცით ბ. ევგენი გეგეჰკორის ზნე და ხასიათი!

მას უყვარს სხვისი ხელით ნარის გლეჯა და ჩვენი ჟურნალის დიპლომატიური წარმომადგენლების ნამუშევარს, ის, რა თქმა უნდა, დაუყოლებლივ დაიჩემებს და მიისაკუთრებს.

მორცხვ და უჩინარ მოღვაწეთა ხელით მოგლეჯილ ნარს თითონ დაიჭერს ხელში, ინდოურივით კაიფხორება და დიძახებს:

— ნარი მიყვარს, ნარი მე.

ნარის სულის ჭირივ...

თითქოს ეს ნარი მართლაც მისი მოგლეჯილი იყოს!

მაგრამ ცხოვრების სინამდვილე ვერ ითმენს სიყალბეს: ტყუილს მოკლე ფეხები აჭვს და დღეს ყველა კარგათ ჰხედავს, ვისი წყალობაა ჩვენი იურიდიული ცნობა: ევგენი გეგეჰკორის თუ „ეშმაკის მათრახის“ დიპლომატიებისა!

ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენი ქვეყნის იურიდიულმა ცნობამ ერთბაშით დასცა უცხო ქვეყნების ღირებულება, ხოლო ჩვენი ქვეყნის ყველა ღირებულება საოცარათ ასწია.

და ვინაიდან „ეშმაკის მათრახი“, თუ ერთად ერთი არა, უმთავრესი მომქმედი იყო ამ ჩვენი იურიდიულათ აღიარების საქმეში, ყველაზე ადრე და ყველაზე უფრო ჩვენი ჟურნალის ღირებულებამ აიწია:

— დღიდან ჩვენი იურიდიულათ ცნობისა, „ეშმაკის მათრახის“ ფასი 50 მანეთიდან ერთბაშით 100 მანეთამდე ავიდა!

ეს მოგვინა აშკარათ ამტკიცებს, რა ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ჟურნალს საქართველოს ბრწყინვალე სენათაშორისო გამარჯვებაში და ვისი მოგლეჯილია ის ნარი, რომელიც ასეთი რიხით უჭირავს დღეს ჩვენი ბ. ევგენი გეგეჰკორის!

### დიპლომატიურ ნოტა

გავიგე თუ არა, რომ ჩვენს მთავრობას ახალი ნოტა მოსვლიდა საბჭოთა რუსეთის აქაურ წარმომადგენელისაგან, ფრთა-შესხმულივით გავფრინდი ქუჩაში ვაზეთის საყიდლათ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ნოტაზე დიდ იმედებს ვამყარებდი:

უპირველეს ყოვლისა, ერთი კარგი, „ლო-თიანი“ ნოტა პირადათ ჩემთვისაც უებარი წამალი იქნებოდა;

ორი დღის ნაქეიფარი გახლდით და ჩემს არსებაში ერთი განუწყვეტელი დავა და კამათი სწარმოებდა, რადგან საბრალო „მე“-ს უთვალავი მამხილებელი და მქენჯნავი იდუმალი ხმა დაჰხვეოდა, ალყა შემოერტყათ ყოველი მხრიდან და გაუნებლებლივ სჩველედნენ, ჰგმირავდნენ და ლახვრავდნენ ათასი საშინელი ბრალდებითა და მხილებით.

უმწეო „მე“ ვეღარ უძლებდა მათ სასტიკ იერიშებს. გასაქცევი გზაც უარსად ჰქონდა და იძულებული იყო ბოლოს ხმა ამოუღებლივ ყური ეგდო მათი საძაგელი მხილებისათვის და თვისი გაჩენის დღე ეწყევლა...

ქანც-გამოლეული და ღონე-მიხდილი ჩემი „მე“ სწორედ იმ მოწაფეს ჰგავდა, რომელსაც ყველა საგანში ორიანი მიუღია, თავჩაღუნული სდგას კუთხეში და მასწავლებლები კი რიგ-რიგობით ლანძღავენ და ათრევენ მას... მაგრამ აი, ერთმა კინტუა ბიჭმა, რომლის ოინები ცნობილია მთელ მასწავლებელში, უეცრად ცხვირი შემოაჭყო ამ დროს კარებში და, რაც ყანყრატოში ამოეტეოდა, ხმა მაღლა დაიყვლა:

— ყიყ-ლი-ყო-ო!

მასწავლებლები დაფრთხნენ, თავი მიანებეს თავის მსხვერპლს და იმ კინტუა ბიჭს გამოუდგნენ...

სწორედ ამ კინტუა ბიჭის „ყიყ-ლი-ყო-სავით“ უნდა მომვლინებოდა მეც საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის ნოტა, რომელიც ისე დააფრთხობდა და მომაშორებდა იმ საძაგელ მქენჯნავ იდუმალ ხმებს, როგორც „ყიყ-ლი-ყო“ მოაშორა აბეზარა მასწავლებლები საბრალო მოწაფეს.

ეს იყო, ასე ვთქვათ, ერთი მხარე ახალი ნოტის მნიშვნელობისა.

მეორე მხარე, არა ნაკლებ საყურადღებო გახლდათ:

ახალ ნოტას უნდა შევერიგებინეთ მე და ჩემი ცოლი, რომელმაც წუხელის, ფრიადის და გვიანებისა გამო, ბინა დამიკეტა და დღიამდე მაყურყურა კარებთან ნაქეიფარი და დაქანცული აღამიანი.

ამისდაგვარათ, ახალ ნოტას უნდა აღედგინა ჩემი სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა და ჩამოგედო ზავი და მყუდროება ჩვენს ოჯახში.

\*) იხ. № 57.



აი, რა ეფექტებს მოწველოდი ახალი ნოტი-  
საგან და აბა, ამის შემდეგ, ვის გაუკვირდება ის  
მოუთმენრობა რომლითაც მე იმ ნოტიან გაზეთის  
შესამენათ გავექეცი ქუჩაში:

ჩემი ნაცნობი მეგაზეთე როგორღაც ვერ და-  
მიხვდა მომენტის შესაფერ გუნებაზე.

წინათ, როდესაც ნოტიან გაზეთის საყიდლოთ  
მივიღოდი ხოლმე, შორიდანვე ვამჩნევდი მისს  
ყურებამდე გაღიმებულ სახეს და ცუდლუტურად  
გაბრწყინებულ თვალებს.

— მობრძანდით, მობრძანდით, ბატონო ონი-  
სიმე, ხა-ხა-ხა! Есть для васъ сегодня диплИИИ-  
томатическая нота, ха-ха-ха! — შემომძახებდა ხოლ-  
მე ხარხარით.

დღეს კი, დამინახა თუ არა, თითქოს რაღა-  
მაც შეაწუხაო, თავი დაბლა ჩაღუნა, შემდეგ ისევ  
ზევით ასწია, ნაჩქარევით შემომხვდა, მიტრიალდა  
და გაზეთების თვლა დაიწყო.

— სოსო, გამარჯობა შენი! მოიტა, რაღა,  
დიპლომატიკა ნოტა! — მივაძახე მეგაზეთეს.

— შეიდი, რეა, ცხრა, ათი... — ვანაგრძობდა  
თვლას იგი, თითქოს არც კი შეენიშნოს ჩემი  
მისვლა.

— კაცო, მოიტა გაზეთი, ნუ მალოდინებ! —  
გავუთმორე მე.

მან აიღო ერთი ცალი გაზეთი და ხელ-უკუ-  
ლმა ჩაშიღო ხელში ისე, რომ არცკი შემოუხე-  
დავს ჩემთვის.

— არის შიგ ნოტა? — ვკითხე მე.

— დიახ, გახლავთ! — მიპასუხა მან უგულუოთ.

— ვინ აწერს ხელს?

მეგაზეთემ არა მიპასუხა-რა და თავის პატარა  
ნოტას განჩხლებული ლანძღვა დაუწყო ყოფ-  
ლად უმიზეზოთ.

— დღეს შენ რაღაც გუნებაზე ვერა ხარ,  
სოსო-ჯან! — შეენიშნე მე და გაზეთი გავშალე.

— დიახ, ბატონო, ცოტა შეუძლოთ გახლა-  
ვარ! — მიპასუხა მან.

— ჰა—ჰა! აი ვიპოვე კიდევ! — წამოვიძახე  
მე სიხარულით და ნოტის ბოლოს დავხედე ავტო-  
რის ვინაობის წასაკითხად.

წარმოიდგინეთ იმ ბავშვის მდგომარეობა,  
რომელსაც ხელი გაუშვევია იმ იმედით, რომ შიგ  
ჩურჩხელს ან გოზინაყს ჩაუღებენ, სამაგიეროთ კი  
გულქვა და უნამუსო აღამიანი ნაცვლად გოზი-  
ნაყისა გაშვევრილ ხელში მოულოდნელოთ ბაყაყს  
ან ხარაბუზას მისცემს.

დაახლოვებით ასეთი გრძნობა განვიცადე  
მეც იმ წუთში.

ნოტის ბოლოში, ნაცვლად ნაჩვევი გვარე-  
ბისა— ჰუსეინოვის, კიროვის, ბეგზადიანს და შეინ-  
მანისა— გაკიმული იყო:

— **საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარ-  
მომადგენლის მოვალ. აღმსრ. საქართველოში  
ს. ი. ქავთარაძე.**

დამფრთხალისა და საცოდავის თვალებით  
მიმოვიხედე ირგვლივ, თითქოს მომეპაროს რამე,  
და საჩქაროთ დაკმუქმნული გაზეთი ჯიბეში ვი-  
კარი.

მივხვდი, რასაც ნიშნავდა ჩემი მეგაზეთის  
უგუნებობა და ვგრძნობდი, რომ ის ამ წუთში  
იმასვე განიცდიდა, რასაც მე. აღარც კი მიმიხე-  
დავს იმისაკენ, ისე გავექანე შინ.

ვთქვამდი და ვუთხრებდი მეგაზეთეს!

მართალია, ის აბეზარა იდუმალი ხმები, ჩემ  
სინდისს რომ დაუნდობლოთ ჰქენჯნიდენ, ერთბა-  
შათ დაფრთხენ და საღვალად ვადიკარგენ, მაგრამ  
ახლა სამაგიეროთ სხვა, არა ნაკლებ მტანჯველი,  
აზრი ამეკვიცა.

თვალწინ მედგა დიპლომატიური ნოტის ბო-  
ლოზე მიწერილი სახელი და გვარი და მოსვენე-  
ბას არ მაძლევდა.

— ეჰ, დასწყველოს ღმერთმა! მე და სოსო-  
მეგაზეთე ძლიერ სუსტი წერვების ეყოფილვართ,  
— ვფიქრობდი მე: ყველაზე ერთგვარათ ხომ არ  
იმოქმედებს ეს ამბავი... ვინ იცის, სახლში იქნე-  
ბა ამ ახალმა ნოტამაც წინანდლებივით გასქრას  
და ოჯახის „სტატუს ქვო ანტე“ მაინც აღმიღ-  
ვინოს...

ვენახოთ, უცებ ჩემი ყურადღება ერთმა შო-  
რიდან მომავალმა არაჩვეულებრივმა ეტლმა მი-  
იქცია.

მშვენიერი შავი რაშები ება იმ ეტლს. ეტლიც  
საუცხოვო ლამაზი იყო და შავათ პრიალბდა.  
შიგ იჯდა, ვილაც ნებიერი ახალგაზრდა კაცი, თა-  
ვიდან ფეხამდე შავათ ჩაცმული და თითონაც  
შავგრემანი. ეგრობიული ტანსაცმელის მაგიერ რომ  
ოქრომკედით ნაქარგი ტანისამოსი სცმოდა და  
თავს ძვირფას თვლებიანი დოლბანდი ჰხურებოდა,  
ზედგამოქრილი ინდოეთის რაჯა იქნებოდა, ისე  
ლამაზი იყო ის კაცი.

შავი ცხენები, შავი ეტლი, შავი ტანისამოსი,  
თითონაც შავგრემანი, — და ამ ერთიან სიშავეში  
საოცრად ელავდა სპილოს ძეგლსავით თეთრი კბი-  
ლები.

ის მომხიბლავათ უღიმოდა ნაცნობებს და  
თავაზიანათ ესალმებოდა.

პირველი გრძნობა აღტაცებისა დალონებამ  
შემიცვალა.

— ვინ უნდა იყოს ეს ცხოვრების ნებიერი? —  
ვფიქრობდი მე: ეჭვი არ არის, ვინმე მილიარდერი  
იქნება... მერე, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს  
ეს ფუფუნების სურათი გაშვალტყაიბულ ლატაკ  
მოქალაქეზე? აბა, გაბედავდა ე! ბატონი ასე  
თავისუფლად ნავარდს საბჭოთა ოუესეთში! სწო-  
რედ დიდი გაკიცხვის ღირსია ამ მხრივ ჩვენი  
მთავრობა!..

ეტლმა ცხვირ წინ ჩამიქროლა, მილიარდერმა  
ერთხელ კიდევ მიაშუქა თვისი ღმილის ელვარება  
ვილაც ნაცნობს და წავიდა...



ცნობის მოყვარეობამ ამიტანა, ველარ მოვი-  
თმინე და შორიდებთ ვკითხე იმ კაცს, რომელსაც  
უკანასკნელად მისვალმა ის უცხო ქაბუკი.

— უკაცრავად, ბატონო: ვინ იყო ის კაცი,  
გხლა რომ ეტლით ჩაიარა?

— განა არ იცით?.. გაკვირვებით მიპასუხა მან:  
ეს რუსეთის წარმომადგენელი გახლავთ, სერგო  
ქავთარაძე!

— რას ბრძანებთ?—წამოვიძახე მე და ინსტინ-  
ქტებრივად მივტრიალდი იქით, საითკენაც  
ეტლი წავიდა, თითქოს უკან გამოდგომა მდომო-  
დეს იმისი..

— მაშ აი, როგორი ყოფილა ის სერგო ქა-  
თარაძე, რომლის ხელმოწერილი ნოტა ჯიბეში  
მიძევს!—ფიქრობდი მე: რა მშვენიერი სანახავი  
ყმაწვილია! როგორი „სტილებრივი“ გარეგნობი-  
საა!.. და მერე რა მომხიბლავი ღიმილი აქვს! ექვი  
არ არის, ასეთივე მომაჯადოებელი ღიმი უქროდა  
ტუჩებზე ამ ორი წლის წინათაც, როდესაც ჩვენი  
მთავრობა მას რუსეთში ასახლებდა და ის კი პა-  
ტიოსან სიტყვას სდებდა, რომ საქართველოს წი-  
ნაღმდევ მოქმედებაზე ხელს აიღებდა!.. ეს უბაღ-  
ლო ღიმილი უკანაშებდა სახეზე მაშინაც, როდეს-  
საც რამდენსამე კვირის შემდეგ, საქართველოზე  
დღევნელ უფიც ბრბოებს ამხნევებდა ბრძოლისათ-  
ვის კაცკავში. სწორედ აგრევე საუცხოოდ იღიმე-  
ბოდა მაშინაც, როდესაც ამ „ღიბლიბიტო“ ნო-  
ტას ხელს აწერდა .. ღმერთო ჩემო! რათა? რათა?  
რათ გამოვიდა დღეს იგი ქუჩაში სასეირნოთ იმ  
შავ ცხენებთან შავი ეტლით და თეთრი ღიმი-  
ლით? განა მართო მისი ნოტა კი არ შეყოფო-  
და?..

მივდიოდი შინ დამწუხრებული და თვალთა-  
გან ვერ მომეშორებია ინდოეთის რაჯის მშვენიე-  
რი სახე. „ნეტავი მართლაც ინდოელი იყოს, —  
ენატრობდი მე:—ინდოელი, ან რუსი, ან კიდევ  
სომეხი, გინდა თათარი! მისთვის ხომ სულ ერთია,  
რა ტომისაც უნდა იყოს. ჩვენთვის კი—ჩემთვის  
და მეგაზეთე სოსოსთვის—ღიმი შეგება იქნებოდა  
რომ დღევანდელ ნოტას ქვეშ ეწეროს ქავთარო-  
ვი, ან ქავთარანი, ან კიდევ ქავთარ-კალი-ზადე,  
ოღონდ კი ის „ძე“ არ ეჯდეს ბოლოში“.

სახლში რომ მივედი, ჩემი ჯალაბოზა, ცოტა  
არ იყოს, ნერვებ-აზილული დამიხვდა: ყველანი  
მიხედვარეყვნენ, რომ ნოტის მოსატანად წავედი  
და მოუთმენრობა და ცნობისმოყვარეობა ემჩნეო-  
დათ სახეზე.

— მაშამ ნოტა მოიტანა! წაგვიკითხოს!—წა-  
მოიპახა ჩემი ორიენტაციის ვაჟმა—ბიძინამ.

— წაგვიკითხოს!—კეთილ ინება კვერის და-  
კვრა დედის მოპირემ და ჩემმა მოწინააღმდეგემ—  
ელიზბარმა.

ჩემმა მეუღლემაც კი ერთი-ორჯერ მესროლა  
მრავალმეტყველი თვალი და, როცა ველარ ელირ-  
სა ნოტის კითხვის დაწყებას, დაარღვია თითქმის  
სამი დღის უბრობა და ზურგშემოქცევით იკითხა:  
— ვინ აწერს ხელს მაგ ნოტას? შეინმანი?

— აგერ არის... თითონ წაიკითხე, —წავი-  
ლულულე მე და გადავეცი გაზეთი.

ჩემმა მეუღლემ დახედა ნოტის ბოლოს, მერე  
მე შემომხედა დაბნეულის თვალებით, შემდეგ კი-  
დეგ გულიანათ დააშტერდა გაზეთს, თვალი ხომ  
არ მატყუილებსო, გაფითრდა და გაზეთი ხელიდან  
გააგდო.

ძირს დადებულ გაზეთს ელიზბარმა წაავლო  
ხელი, ჩახედა შიგ და ლოყები აეტკიცა თავში  
ავარდნილ სისხლისაგან.

— მოიტა აქა! რა ღმერთი გიწყრება?—  
წამოიძახა ბიძინამ, ხელში გამოპგლიჯა გაზეთი, და  
დაუწყო ძებნა საბედისწერო ადგილს.

— აი, აქ დახედე! რალაც დაბოხებულის  
ხმით უთხრა ელიზბარმა და თითო ანიშნა ის ად-  
გილი.

ბიძინამ წაიკითხა და ზეზე წამოვარდა, თი-  
თქოს სადღაც გაქცევას აპირებსო. შემდეგ ისევ  
დაჯდა და გაზეთი ხელახლა ელიზბარს დაუდო  
მუხლებზე მაშინაღურათ.

უსიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველანი თვალს ვარიდებდით ერთმანეთს და  
სიჩუმის დარღვევას ვერაინ ჰბედავდა, თითქოს  
მიცვალებული ყოფილიყოს ოთახში,

— ბიჭო, ელიზბარ, ხვალ რამდენი გაკვეთი-  
ლი გაქვს?—ნაძალადევით ჰკითხა ჩემმა ცოლმა.

— ოთხი, დედა!—ულახათოთ უპასუხა ბიძი-  
ნამ.

— პურის წამოღება არ დაგავიწყდეს!..

კვლავ მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.

— დღეს კაცი იყო ქალაქის თვითმართველო-  
ბიდან, რალაც ანგარიში მოიტანა,—ერთხელ კი-  
დეგ სცადა სიჩუმის დარღვევა რიფსიმემ, მაგრამ  
ამაოდ.

ყველანი თავჩალუნუნნი ვისხედით და გულ-  
ზე ყველას ერთი გრძობა გვაწვა ლოდევით,  
გრძობა, რომლის გამელაენება და გულიდან მო-  
შორება ვერ გავგებდა:

— გვრცხვენოდა.

თავგუნა





## დაფნის გვირგვინი.


ვინა შუა წყალმან წმინდამან: ნუგამან, ანმცა რვინმან,  
 ვარსკლავი ჩრდილოეთისა, ბნელ ჰვოს ნათელი მზე იმან,  
 სისმართა გასჭვრეტს შმაგურთა, რუსეთის ელხი შეინმან...  
 შეთთავს და ღრტყინავს ღოგინში!.. თვალნი მოსტაცა სვირმან!

დიდაარს კომუნისტური სიშმაგე მისთა ზრასვათა!  
 სურათი რამე იხილა, სჯობს ეგუელთავე ნახვათა.  
 სურათი ცხადად ნანატრი! (სუ ჩამომართმეუთ ჩმასვადა).  
 თაკსა გასწირავს... სიკვდილი არ უჩნს ჩირად და ხასვადა.




სჭვრეტს იგი, ტურფა რანდი, ღოგინსა ღობას მწოლარე:  
 ვითა გასწითლდის თათარი, პაქსთივის ავად მბრძოლარე.  
 კადსცა რუსეთის წყარონი ნავთ-შადრეუანთა მსროლარე,  
 დაფნის გვირგვინით შეიმკო მუნ ელხი რუსთა მუელარე.  
 და განსჭვრეტს კვალად შეინმან, ჭაბუკი მზეთა სადარი:  
 ქვეუანს სსთმხეთოსა (ღეგრანა ელხად სად არი)  
 ერეგინს ბროლეტარობა სკომუნისტოდ მზად არი...  
 დაფნა მიეზლო ღეგრანსაც, არ ანწლი, არც თუ ჭადარი.





და აჰ, ლაღად განბეჭენ წაიღონა ბუქნი ცხისნი,  
 მოისმა სვგაღობელი მუნ ანგუღოსთა ხმისანი,  
 ვარდამოვიდა ღუნინი, მზე იმ რუსეთისანი,  
 ხვეუნს აღერსნი ასშირს იმ ძმოს, თუ უმისანი.



ზე წამოიჭრ რაინდი ხსნისთა აღნატეინები.  
 გარნამცა ჳნახს ღუნინი თვისზე გულ ანატეინები,  
 ბაქო—ერუენელთ უბოას მს იგი დაუნის ჩინები,  
 ანად ეამის, კვლავ ჩაწვის შეინძან განაწეინები.













ამაყე მოსზრებით, ლოდ-ჯორჯისა და კრასინის მოლაპარაკების დროს გამთვანით ქალაქ კორკის ლოდ-მერის ანდლია და ამით შთაი შშეიდობასა მოლაპარაკება დაგრდვიეთ. ამასთან ერთად ჩვენი დელეგატია კვლავ აწარმოებს სჯქმან სჯარკო ზოლიტიას.

— შენ....  
 და საქმე იმ ზომამდე გამწვავდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხოფაც კი მივყენეთ...  
 ამის შემდეგ გავიდა ერთ თვეზე მეტი.  
 სამსახურიდან სახლში ვბრუნდებოდი და როცა რუსთველის პროსპექტზე ერთ-ერთ საკანდიტროს წინ ჩავიარე, ჩემი ყურადღება მიიპყრო სხვა დასხვა ფერისა და ფორმის ნამცხვრებმა, რომლებიც, თითქოს ვიღაცას ემალეებიანო, მორცხვით გამოიყურებოდნენ ყინვისაგან შეოროთქლილ შუშაბანდის კუნჭულებიდან.  
 — ხომ გავამტყუნე! სიხარულით წამოვიძახე მე და საკანდიტროში შევედი.  
 საჩქაროთ ავაწონიე რამოდენიმე გირვანქა იაღლო, ხაჭაპურები, ბისკვიტები...

და ჩქარი ნაბიჯით ვავსწიე სახლისაკენ...  
 — არც ეხლა გამოტყდები, რომ შენი იმ დღინდელი გამოლაშქრება ცილის-წამება იყო და მეტი არაფერი?—კარებში შესვლის თანავე შეიძახე ჩემს ცოლს და ტკბილეულობით სავსე ქალაღდის პარკი ჩავუგორე კალთაში.  
 მან პარკი საჩქაროთ გახსნა და...  
 ქალის გულს ვერაფერი შეგაქანებს, თორემ მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, სირცხვილისაგან გავწითლდებოდი.  
 ის კი...  
 მაღიანათ შეუღდა მისივე გამამტყუნებელ პნივთიერ საბუთების“ კამას...  
 თითქოს არც კი გამტყუნებულიყოს!..





ლადო გუღიაშვილი სპეციალურად დანიშნულ აქშის ღამას ბანოვანთა გამოფენასე კ. პარიზს. უმშვენიერესს პარიზულ ქაღალდთა შარის, რომელმაც მიიღო პრიზა სილამაზისა, ჩვენმა წარმომადგენელმა უძღვნა შოკერტხ-ლიდი ყანწი, ზღბათ მომავალი შეუდღის დასაჯადდებდათ.

## ს ე ნ ს ა ც ი ე ბ ი.

### 1) ბაუერზაკის ლანჩუთში.

**ბათომი.** ბათომის საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება იმის შესახებ, რომ ლანჩუთის ქალაქის თავმა გახსნა პლასტიკის შკოლა და მასწავლებლებსათ მიიწვია ცნობილი ბაუერზაკი და ვაკარეცი. ამ მოხსენებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია ხმოსნებში. უსაყვედურებდენ გამგებებს, რომ იგი ცხოვრებას ჩამორჩა და პირველობა პლასტიკის საქმეში ლანჩუთს არგუნა. საბჭომ ერთხმად დაადგინა დაარსდეს პლასტიკის შკოლა და მოწვეულ იქნას ბელმძღვანელოთ აისედორა ღუნკანი\*). მით უმეტეს, რომ ბათომის ბიუჯეტს ეს არც ისე გავრ-

\*) უმჯობესი იყო მოეწვია თვით ქალ. ლანჩუთის მოუტრავი.

ვშმაკი.

დის. თუკი პატარა ლანჩუთის თავს შეუძლია ბაუერზაკი შეინახოს, რატომ ბათომს არ შეუძლია ღუნკანის შენახვა.

### 2) მდგომარეობა პროვინციაში.

მე შეგვიჩვენე ცნობები იმის შესახებ თუ როგორაა საქმე დაყენებული საქართველოს დანარჩენ მხარეში და შემდეგი დებეშები მივიღე:

**ღანი-ჭავანი.** ჩენი თემი ყველაზე დაწინაურებულია: გვაქვს სამი სკოლა, ოთხი ბაზარი, ხუთი კოოპერატივი, ექვსი აფთიაქი, 7 საავთმყოფო 10 საწოლი, 12 ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ არც ამ საქმეში ჩამოვრჩებით სხვას ჩვენმა ბელადებმა მღვ. ჩხაიძემ და ელიავამ გამოიწვიეს ბოლგარი-ღან ჩენი სამხატვრო თეატრის სახელმძღვანელოთ კახლოგი.






სთეატრო სარაელზე ჩვენი დეკლარაციის მიერ მოწვეულ აქმნა ასაღვარდა რეჟისორი ვას. უეშიტაშვილი.

**ფარცხანაყანევი.** არც ჩვენ ჩამოვრჩით სხვას. მაგრამ ჩვენ ცეკვისა და პლასტიკის სწავლა არ გვკვირდება. ჩვენი გოგონები და ბიჭები საკმაოდ მიეჩვიენ ლობეზე ხტუნვას ჩვენ სიცილი უფრო გვიანტერესებს. ამისათვის მივანდგეთ ჩვენ წარმომადგენელს ვეტია თედორაძეს ვასო აბაშიძის მოწვევა.

**გოჭოურა.** ჩვენი სოფელი ქუთაისთან ახლოა. ჩვენ მოგეწყინდა დახვებულნი რიტვა ჩვენი ყვითელი მტრების. გაფრინდაშვილის მიერ მოკლული ტილი გვიჩვენია მთელ მესამოცე წლის ყვითელ პოეტებს. ჩვენი სოფელი მხოლოდ ახლა გაზდა მგოსნებთან დასახლებული. ამიტომ ხელმძღვანელათ გამოვიწერეთ პოლ ვერდენი და გრ. რობაქიძე.

P. S. სხვა ცნობებს ველი კიდევ. მოსვლისთანავე მოგაწვდით.

გრ. სლუჩაინი.



### წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო, გთხოვთ ადგილი დაუთმოთ აქვენს ზატვიტელ რეჟისორში შემდეგ წერილს:

დღეს დილით ფოსტით მომივიდა შემდეგი შინაარსის საჩქარო დეპეშა: „ამა წლის 5 იანვარს ბათუმის ციხე-სიმაგრეთა შტაბში ერთმა აფიცურმა სცემა ახლად ჯარში გაწვეულ ჯარის კაცს, ოვანესოვს. შემდეგ დააპატიმრა და დააპატიმრებულსაც სცემა ბინაზე ჯარისკაცების თანადასწრებით. არ ვისახელებთ აფიცრის სახელსა და გვარს, რადგან მას მთელი შტაბი იცნობს და ყველამ იცის, რომ ჯარის კაცს ოვანესოვს უმიზეზოთ სცემა. მიუხედავად ამისა ყველა სდუმს. გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები. თქვენი ილუმინალი აგენტი“.

ამით საჯაროთ ვაცხადებ, რომ მე არავითარი ილუმინალი აგენტი არ მყავს, რადგან მე ისე



არაფრის შესახებ არ დავსწერ, თუ პირადად არ დავრწმუნდი. ამასგარდა მე არც შტაბის უფროსი ვარ და არც მთავრობის საგანგებო რწმუნებული და ვთხოვ ყველას ასეთი დებუებით ნუ მომმართავენ, რადგან არავითარ ზომების მიღება არ შემოიძლია. თუ ვინმე არ მიიღებს მხედველობაში ჩემს

განცხადებას და კიდევ გამომიგზავნის ასეთ დებუშას, მე არავითარ ზომას არ მივიღებ, მხოლოდ გადავუგზავნი მთავრობის საგანგებო რწმუნებულს „საპირო ზომების მისაღებათ.“

გრ. სლუჩინი.



### თანამედროვე სტატისტიკა.

ბათუმის ქალაქის გამგეობასთან დაარსდა სტატისტიკური განყოფილება მიხ. ჯიბლაძის ხელმძღვანელობით.

შეკრებილია აუარება ცნობები. დამუშავებულია ჯერ-ჯერობით შემდეგი: დამოკიდებულება მოსამსახურეთა პირველ საპიროების საგნებისადმი.

მოგვყავს მეტათ საინტერესო ცხრილი.

	ჯ ა მ ა გ ი რ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა უ ლ რ ი ს .								
	ინდოური	ბატი	მკვრები	ნავთი	სპიჯა	შპარისი სოფლდანი	სადიდი	ქარტი კასტუმი	ნაკლები კასტუმი
ქალაქის თავი, ბანკის დირექტორები . . . . .	10	12	1000	600	1500	400	60	1/2	3/4
გამგეობის წევრი, რე- დაქტორი და სხვა. . . . .	8,3	10	853	500	1250	333,3	50	2/5	3/5
საქმის მწარმოებელი . . . . .	2,5	3	250	150	350	100	15	1/8	1/5
ქართულ ტეატრის მსა- ხიობი. . . . .	3	3,5	260	165	370	110	17	1/7	1/4
რკინისგზელი. . . . .	4/5	1	100	50	125	33,3	5	1/24	1/16
ასოთ ამწყობი ევ. ჯა- ნელიძე . . . . .	2	2,5	240	130	320	99	14	1/9	1/6
გაზეთის თანამშრომელი.	1,6	2	166,6	100	250	66,6	10	1/12	1/8
გიზნაზიის მასწავლებელი.	1,4	1,8	150	90	240	56,6	8	1/14	1/10

**შენიშვნა:** ამ საში არ არის კომისრები და მილიციონერები. საქმე იმაშია, რომ მათი ჯამაგირის შედარება ზემოაღნიშნულ ნივთებთან შეუძლებელია, რადგან მეტის მეტათ მცირე ნაწილები გამოვა. ცხოვრებით კი კარგათ ცხოვრობენ. მაგ. მათი ჯამაგირი ულრის 3 სადილს, ხოლო მშვიერი კომისარი არსად მინახავს, მოქვიფე კი ბევრი ამიტომ მიხეილ ჯიბლაძემ ვერაფერი მოუხერხა მათ და სრულიად გამოორცხა სტატისტიკიდან.

ახლო მომავალში გამოვაქვეყნებთ მეორე ცხრილსა, იქ საკითხი მეორე მხრიდან იქნება გარჩეული. მაგ. ამ ცხრილში სწერია, რომ რკინისგზელი ღირს 1 ბატი. მე-2 ცხრილში ეწერება რამდენ რკინისგზელათ ღირს 1 ბატი, ან ინდოური, ან სხვა.

გრ. სლუჩინი.



### ქვილი იყო ს ჩვენი გაცნობა.

(სტენს მსგავსის გზაზე).

— ჰაიი, ჯეელო, ჯეელო...  
 შენ გეუბნები, ცხენოსანო...  
 — რაიყო კაცო! მე მიძახი?  
 — ერთი შენს ვაზრდას, მანდ რომ ხის ძირას სახედრებია, გამორეკე აქეთ, ნულარ ჩამომიყვან, სულ ერთია გზა მიინც აქეთა გაქვს, გაუჯავრდი და წამოვლენ თავისთავად...  
 — სადაა აქანე სახედრები?  
 — აი, კაცო ხის ძირას ვერა ხედავ ორ სახედარსა...  
 — ხის ძირში აქანე ვირებია ძამია...  
 — ჰოდა იმას ვამბობ მეც...  
 — ვაი შენს პატრონს „ვირის სახელიც აღარ იცით თქვე უბედურებო? ანუ ვირო, ანუ მეთქი შენ დაგაფუროხაზა მამალმა მგელმა. წაი ვირო წინ პატრონი ვიძახის ეგერ...  
 — რასა ჯიუტობენ ეგ ოხრები, გადაუქირე ეგ მათრახი მაგ უპატრონოს...  
 — უპატრონო თუა და შენი არაა რეიზა მადენიებ ძამია?  
 — ჩემია მაშ ვისი ეგ ოხრად დასარჩენები... აი ავრე, მისცხე ნუ გეშინია, ოო გენაცვალე მარჯვენაში...  
 თოოქშ... თოოქშ... ეხლა აღარ დადგეიან ეგ ოხრები... აი გიშველა ღმერთმა. თუ არ შენ ამ სიმორებზედ უნდა ჩამოკსულიყავი...  
 — გამარჯობა შენი!  
 — გაგიმარჯოს ღმერთმა  
 — შენია აი ვირები?  
 — ჩემია...  
 — აკი უპატრონოაო?  
 — რა არი უპატრონო, შე კაი კაცო მე ევლარა მხედავ? რა კარგი ცხენი გყავს...  
 — ცხენი თუ კაია, ბიჭიც კაი უდანა ზედ...  
 — საით მიემგზავრები?  
 — ნაწილში...  
 — რაო, ნაწილშიო, აგეთი სოფელი მე არ გამიგია ჯერ? აღბად წალკაში მიდისხარ და სახელი დაგავიწყდა.  
 — რაიო კაცო? ნაწილის სახელი ჩემს მტერს დაავიწყდა, რვაი თვეია იქინე ვმსახურობ და სახელი აღარვიცი?  
 — სადა მსახურობო?  
 — სადა და ჯარში, ჯარის ნაწილში...  
 — ჰოო, ჯარში—პოლკში რადა, ასე იტყვი შენ კაი კაცო... ჰაი ვიდი, როგორ იმერულად ჩაიციენ ულვაშებში, დამცინი რადა, შენ წედან სახედრები ვერ ვაიგე რაიყო, მაგრამ, მე როლი დაგცინე?!  
 — არ მომიკვდეს შენი თავი, კაცს პირველად გხედავ და დაცინვა რა პატიოსნობაა...

— სადაური ხარ?  
 — გურული ვახლავარ...  
 — გურიელი ხარ?  
 — გურიელი კი არა გურული ვარ.  
 — გეტყობა აქაც უნდა მიხრიყო რამე იმერულად თორემ გურული და გურიელი სუერთი არ არის?  
 — აწი, რეიზა იქნება ერთი, გურიელი ჩვენი მეფის გვარი იყო და გურია კი კუთხეს ქვია, მაზრაა კაი მოზდილი...  
 — თქვენ შეილოსა ლაპარაკში ვინ მოგიგებთ, თქვენში ბავში დაიბადება თუ არა მღვდლის მაგიერ ადვკატს უნდა მოანათვლინოთ, რა არის კარგი ლაპარაკი ისწავლოსო...  
 — ლაპარაკი არ ვარგა თუ?  
 — რატომ... თავის დროზე ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი ეს მითხარი: რა ისმის ომისა, შენ სალდათი ხარ და გეცოდინება რამე...  
 — ჯერ არაფერი, ჩვენ რავაც ყოლითვის გამზადებული ვართ, ჩვენით არე კაცს ვეჩხუბებით და თუ თვითან წამოვლენ კას ამბავს წვილებენ.  
 — აი, გენაცვალე მაგ ენის ძარღვებში, ავრე უნდა, მაგრამ იცი რას გეტყვი?  
 ჩვენი ჟორდანია და ჯუღელი ვერ იქცევიან კარგათ... ადგენ და როგორც ნეფე ერეკლეს დროს ყოფილა გამოუძახონ ყველას, ქულზე კაცი მოიწვიონ წავგვასხან ყველა, ჩვენც ერთბაშად მივაწვიებით და სუ კულით ქვას ვასროლინებთ...  
 — სიჩქარით აფერი არ გაკეთებულა და არც გაკეთდება შეიცე პაწე, შეიძლება ასეც ქნან თუ საქირო დარჩა... ივინმა ჩვენზე უკეთესად იციენ ყოროფელი...  
 — ჰო, ეგ კი მართალია, სწავლა იმათ აქვთ და განათლება. და თუ იმათ არა შენ რა შალი ქვა ვიცი, ერთი კვირაა ავრე, „პოსკა“ მივიღე და ჯერაც ვერ გამიგია რა დღეს ვარ დაბარებული. იქნებ შენ იცი წიგნი?  
 — ვიცი.  
 — აა შენი ქირიმე მე აქა მაქვს... აი... წაიკითხე რა სწერია.  
 — რა ღიღი საქმეა მაგი... ამწუთში... ვაიმე ძამია... შენ ამ თვის სამში ყოფილხარ დაბარებული და დღეს კი თერთმეტია მგონი...  
 — რას ამბობ კაცო! ეს თვე თავდება და შენ თერთმეტიაო ამბობ?  
 — ძველი სტილით კი, მარა ახალი სტილით ვადა გასული აქვს ამ შენს უწყებას...  
 — აი, ახალი ტილი და ძველი ქირი ეცეს იმათ ვინც ჩვენ ასე დაგვეყრა და ანა-ბანა არ გვასწავლა... ხო დავიღუბე კაცი, ვინ იცის როგორც გადაწყდა საქმე, ისევე უნდა წავიდე და გავიგო რამე...  
 — ჰო, მიხვალ საოლქო სასამართლოში და მოგცემენ „სპრაევას“.



— კაცო! შენ მთლიად გადაშრივ დღეს, სა-  
ოხრო სასამართლო, რომელია, მე „ოკრუენოი“  
სულში მქონდა საქმე..

— კი ძამია კი „ოკრუენოი“ რუსულად ქვია  
და საოლქო ქართულად ასე წერია აქანდც.

— ვაი შენ ჩემო თავო... როგორ დავლუ-  
პულავე და მე კი არხინად ვიყავ აქა...

— ნუ გეშინია, შეიძლება საქმე გადადგეს  
რადგანაც ვერ მიდი, აგი, ხდება ასე, მარა პაწას  
კი დაგშტრაფავდენ.

— ოჰ, შენკი გენაცვალე იმედს მამლე, თო-  
რემ ვინიცის რასმეს აუტეხდი ჩემს თავს... სული  
ჩემი ქონების საქმე იმ ვერანა სულშია...

— გული არ უნდა გეიტეხო ყორიფელს ვაშ-  
კატურად უნდა შეხედე...

— აი გიშეგლოს ღმერთმა... შე მამაცხონგ-  
ბულის შეილო, ერთი კვირით ადრე მაინც ვამო-  
ივლიდი ამ სატილო გზაზედ... იცი რა? კაცი კა-  
ციოთ არის იმედი ბევრს ნიშნავს მოდი ერთ რამეს  
გთხოვ და ხატრს ნუ გამოიტებს...

— თუ კი შემიძლია დიდი სიამოვნებით...

— გზა მაინც კიბა გაქვს, ვავიროთ ჩვენსა  
და თითო კიბა ლენო დავლიოთ შენისთანა კაცის  
გაცნობა და მასთან პურის ჭამა ილალია.

— ძან მგჩქარება თვარა დიდი სიხარულით  
წამევიდოდი...

— რაც უნდა საქმე გქონდეს ცოტა ხნით  
ჩემთვის გადასდგ და წამოდი ჩემთან...

— აი ჩანთა, რომ მაქ გადაციდულო ხომ ხე-  
დაც სულ საქმიანი ქაღალდებითაა საფსე, ამდენ  
ხანსაც უნდა წავსულიყავი მარა შენ გამაჩგრე.  
ნაბძანები მაქ მალე უნდა მივიდე და ბძანება რომ  
არ შევასრულო ხომ იცი რაც დამემართება...

— მაშ კარგი, წადი, ნულარ დაგვიანდები,  
პაგრამ ერთხელაც იქნება შეგხვდები სადმე და  
კარგ დროებას გაეცატარებო...

— შეიღობით, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

— გზა მშვიდობისა მოგცეს ღმერთმა...

მოდი შენ ვხლა და შექარაანთ გიგოლას შხა-  
შიან გველსავით ნუ გაუქმეყავ თავსა... უნდა და-  
იქირო და ეენიხის სახლავ დანით მოაქრა ძირში  
ენა...


პაი, იმერლები ასე შვრებიან, ისე შვრებიან,  
ქვეყანა დილუბესო...

რასა შვრებიან შე ოხრის ნაშობო! შენა! აჰა,  
იმერელი არ იყო ეგ ბიჭი? ფულის საშოვნელად  
ხომ არ წამოსულა? მიუტოვებია: სახლი კარი, ოჯა-  
ხი დედა, მამა, გადაუკიდა თოფი და მსახურებს  
აქ... წიგნიც იცის, საქმეც იცის, სამსახურის  
ძალაც იცის თვარსაც არჩევს და შავიც იცის,  
დახე რა სთქვა: „ბრძანება უნდა შევასრულოვო...  
მე კი ჩემს საკუთარს საქმეზედ ვიყავი დაბარებუ-  
ლი სულში და ისიც კი ვერ შევასრულე...

რ. ჯიბილი.

### წ ა რ ჩ ი ნ ე ბ ა

(ჩინური ზღაპარი, რომელსაც წარწერა არ სჭირდება)









## დამოუკიდებელი



## „მუშაკის მატრახნი“ ხელის მოგზავრთა საპურადღაგოდ

რადგანაც ამ ქაბათ რედაქციას საჭირო ქაღალდის შექმნა უხდება ბაზარზე მეტად დიდ ფასებში, იძულებულია გააღიღოს ჟურნალის ფასი 100 მანეთამდე. ამიტომ ხელის მოძწერით, რომელნიც არ შეასრულებენ ფულს ახალი ფასის თანახმად, ჟურნალი გაეგზავნებათ მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ახალი ფასის მიხედვით საკმარისი იქნება მათ მიერ გამოგზავნილი ფული; შემდეგ კი შეუწყდებათ.